შ. პ .ს « არქიტექტორები »

ქ. თბილისში, ვახტანგ მოსიძის ქ. №4-ში

ანტრესოლის სართულის, ზენიტური ფანჯრების მოწყობის და ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოების მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

მუშა პროექტი

შ. პ .ს « არქიტექტორები » -ს

დირექტორი  ნ. ფარცხალაძე

დაამუშავა ნ. ფარცხალაძე

თბილისი – 2023 წ.

1. ობიექტის დახასიათება

შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, ვახტანგ მოსიძის ქ. №4-ში და წარმოადგენს საცხოვრებელ შენობა-ნაგებობას . შენობა 2 სართულიანია

პროექტით ხდება არსებულ შენობაში ანტრესოლის და შიდა კიბის, გადახურვაში ზენიტური ფანჯრების მოწყობა და ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება.

2. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია

ა. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია გულისხმობს სამშენებლო წარმოების მომზადებას საინჟინრო თვალსაზრისით სნ და წ 3.01.01.-85 §1 და §2 დებულების გათვალისწინებით.

ბ. სარესტავრაციო სამუშაოების დაწყების წინ აუცილებელია არსებული საინჟინრო ქსელების, კომუნიკაციებისა კაბელების ადგილმდებარეობის დაზუსტება ქ. თბილისის საქალაქო ქსელების საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ.

გ. სარემონტო სამუშაოთა დაწყებისას საჭიროა შენობას ჩამოეფაროს ფარდა-ბადე რათა დაცული იქნას მუშა-მოსამსახურეთა და გამვლელთა უსაფრთხოება

დ. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოთა წარმოებისას აუცილებელია უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვა. ამ მიზნით მუშა მოსამსახურეებზე უნდა ჩატარდეს ინსტრუქტაჟი გამოცდების ჩატარებით.

ე. წარმოდგენილი მოპ-ი მოცულობითა და შინაარსით შეესაბამება სნ და წ 3.01.03.-85, §1.13 მოთხოვნილებებს შემოკლებულ ვარიანტში საქალაქო განაშენიანობაში სამუშაოთა წარმოების თაობაზე.

3. რეკონსტრუქციის ხანგრძლივობის დადგენა.

ა. მშენებლობის ხანგრძლივობისა და სამშენებლო სამუშაოთა წარმართვის თვალსაზრისით მშენებარე ობიექტი- არქიტექტურულ-მოცულობითი და კონსტრუქციული გადაწყვეტით საშუალო კატეგორიისაა სირთულის მიხედვით.

ბ. სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის დასადგენად ვითვალისწინებთ არსებული ტერიტორიის კონკრეტულ პირობებს, შენობის კონსტრუქციული გადაწყვეტას, მოპირკეთებაში გამოყენებული მასალებს, სარესტავრაციო სამუშაოთა წარმოებისას დროში გაჭიანურების ტენდენციას, მატერიალური რესურსების და სხვა ტექნოლოგიური პროცესების უზრუნველყოფის შესაძლებლობათა გათვალისწინებით, დამკვეთთან შეთანხმებით და ანალიზის მეშვეობით მშენებლობის ხანგრძლივობა ავიღებთ T= 12 თვეს.

გ. სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს თანმიმდევრულად, რიგითობის დაცვით დამუშავებული კონსტრუქციული ნახაზების მიხედვით

4. უსაფრთხოების ტექნიკა

ა. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე დაუშვებელია.

ბ. სამშენებლო მექანიზმების სამუშაო ზონა მშენებარე შენობასთან იზღუდება უსაფრთხო ზონის ფარგლებში. განტვირთვა.

გ. სამუშაოთა წარმოებისას ხარაჩოს ყველა სართულზე უნდა მოეწყოს ტვირთის მისაღები ბაქანი.

დ. შეზღუდვის საზღვრების მითითება ხარაჩოზე, დროებით ღობეზე და სხვა თვალსაჩინო ადგილებში აუცილებელია.

ე. მუშა- მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი სამუშაოთა წარმოებისას უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ტარდება გამოცდაც, რომელიც დაფიქსირებული უნდა იქნეს სათანადო ჟურნალებში.

ზ. აუცილებელია საწეველას და სხვა ელექტრომექანიზმების დამიწება.

5. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხი

ა. სამშენებლო სამუშაოთა დაწყება დაიშვება ადგილობრივი შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. მშენებლობა აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.

ბ. გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.

გ. დაუშვებელია არსებულ საკანილიზაციო ჭებში ბეტონ და ხსნარ მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

დ. საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს ჩამოეფაროს ფარდა, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში.

ე. მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ღიად ჩამოყრა დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში. შენობა უნდა აღიჭურვოს ინვენტარული კონუსური ტიპის ნაგავგამტარებით და ნაგვის ჩამოცლა უნდა მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი მანქანების ძარებში.

მშენებლობის დღიური გრაფიკი



შიდა კიბის მოწყობის სამუშაოები	----------	60 დღე
მანსარდის მოწყობა	----------	90 დღე
თაბაშირ მუყაოს ტიხრების სამუშაოები	----------	150 დღე
სამშენებლო ნაგვის გატანა	----------	35 დღე
ტერიტორიის კეთილმოწყობა	----------	30 დღე

„არქიტექტორები+"			მშენებლობის დღიური გრაფიკი	
დირექტორი		ნ. ფარცხალაძე		ფურც.#
პრ. ავტორი		ნ. ფარცხალაძე		ფურცლ.
შეასრულა		ნ. ფარცხალაძე		მ. 1:100